1972/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (379)

1972 წლის აგვისტო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 8 (379) აგვისტო 1972 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

161. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. თ. დოლაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

162. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

163. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

164. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-15 მუხლის შევსების თაობაზე.

165. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-აღმზრდელობით კოლონიათა საზოგადოებრიობის საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ.

166. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად ქ. ჭიათურისა და ხაშურის რაიონის ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ.

167. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამბროლაურის რაიონის ცახის სასოფლო საბჭოდან სოფელ თხმორის გამოყოფისა და ნამანეფის სასოფლო საბჭოსათვის მისი მიკუთვნების შესახებ.

168. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყაზბეგის რაიონის თრუსოს სასოფლო საბჭოს გაუქმების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

169. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 31 მაისის ბრძანებულების გაუქმების შესახებ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება შ. ა. არიკიანისა და ვ. მ. ცარკოვისათვის საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის სპატიო წოდების მინიჭებას.

170. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ს. გიორგობიანის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

171. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. რ. ნადირაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ.

172. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ე. კეთილაძის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ.

173. ბრძანებულება სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის თაობაზე.

174. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ხუციშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

განკოფილება მეორე

175. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

176. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

177. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვოკალურ ანსამბლ „გორდელას“ მსახიობთათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

178. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ი. ჯაჯვანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

179. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ს. ადამიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

180. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. პ. ბოკერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

181. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. დ. თურქიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

182. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ს. მიქელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვების შესახებ.

183. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. გალავანოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

184. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. კობახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

185. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ქარჩავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

186. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ი. ცქიტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

161 ამხ. გ. თ. დოლიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. გიზო თევდორეს ძე **დოლიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 1 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

162 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 18 მაისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის მე-8[1] მუხლი:

„ მუხლი 8[1]. მძიმე დანაშაულის ცნება

მძიმე დანაშაულად ითვლება ამ მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილი განზრახი ქმედობანი, რომლებიც წარმოადგენენ მომეტებულ საზოგადოებრივ საფრთხეს.

მძიმე დანაშაულს განეკუთვნება: განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული (მუხლები 65-74-ე); ბანდიტიზმი (მუხლი 78-ე); მოქმედება, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობაში (მუხლი 78[1]); კონტრაბანდა (მუხლი 79-ე); მასობრივი არეულობა (მუხლი მე-80); მიმოსვლის გზებისა და სატრანსპორტო საშუალებათა დაზიანება (მუხლი 87-ე); ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება (მუხლი 88-ე); სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა და სავალუტო ფასეულობებით ან ფასიანი ქაღალდებით სპეკულაცია დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 89-ე); სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დიდი და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გატაცება (91-ე, 93-ე და 94-ე მუხლების მესამე ნაწილები, მუხლი 96[1]); გაძარცვა დამამძიმებელ გარემოებებში (92-ე და 151-ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლების მეორე და მესამე ნაწილები); ყაჩაღობა (მუხლები 96-ე და 152-ე); სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება დამამძიმებელ გარემოებებში (მე-100 და 157-ე მუხლების მეორე ნაწილები); განზრახ მკვლელობა (მუხლები 104-ე და 105-ე); სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 110-ე); გაუპატიურება (მუხლი 117-ე); სპეკულაცია დამამძიმებელ გარემოებებში (165-ე მუხლის მეორე ნაწილი); ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება დამამძიმებელ გარემოებებში (187-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები); ქრთამის აღება (მუხლი 189-ე); მექრთამეობაში შუამავლობა ან ქრთამის მიცემა დამამძიმებელ გარემოებებში (189[1] და 190-ე მუხლების მეორე ნაწილები); სისხლის სამართლის პასუხისგებაში უდანაშაულო პირის შეგნებულად მიცემა დამამძიმებელ გარემოებებში (192-ე მუხლის მეორე ნაწილი); წინასწარ შეცნობით უკანონო განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გამოტანა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა (193-ე მუხლის მეორე ნაწილი); ჩვენების მიცემის იძულება დამამძიმებელ გარემოებებში (195-ე მუხლის მეორე ნაწილი); მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა (მუხლი 209[1]); ბოროტი ან განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობა (228-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები); ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცება (მუხლი 240-ე); ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადება, შეძენა ან შენახვა გასაღების მიზნით, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღება (252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები); ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცება გასაღების მიზნით (მუხლი 252[1]); ურჩობა დამამძიმებელ გარემოებებში (256-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები); უფროსისათვის წინააღმდეგობის გაწევა ან მისი იძულება დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა (მუხლი 258-ე); უფროსის მიმართ ძალმომრეობითი მოქმედება (მუხლი 260-ე); დეზერტირობა (მუხლი 265-ე); სამხედრო ქონების განზრახ განადგურება დამამძიმებელ გარემოებებში (269-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები); საბრძოლო მორიგეობის შესრულების წესების დარღვევა დამამძიმებელ გარემოებებში (275-ე მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტები)“.

2. 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 25. თავისუფლების აღკვეთა.

თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრება ვადით არა ნაკლებ სამი თვისა და არა უმეტეს ათი წლისა, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, დანაშაულისათვის, რომელმაც გამოიწვია განსაკუთრებით მძიმე შედეგი, და განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისათვის, იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით და ამ კოდექსით, — არა უმეტეს თხუთმეტი წლისა.

თუ სასჯელი ენიშნება იმ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ათ წელს.

სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდა ენიშნება საერთო, გაძლიერებული, მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომა-გასწორების კოლონიებში ან საპყრობილეში, აგრეთვე საერთო და გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში.

შრომა-გასწორების კოლონიებში სასჯელის მოხდა დაენიშნებათ:

მამაკაცებს

— თუ მათ პირველად ედებათ მსჯავრი არამძიმე დანაშაულისათვის ან პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს სამი წლისა, მძიმე დანაშაულისათვის, — საერთო რეჟიმის კოლონიაში;

— რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით, მძიმე დანაშაულისათვის, — გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში;

— რომლებსაც მსჯავრი ედებათ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (მუხლები 65-74-ე) ან თუ წინათ იხდიდნენ სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში;

— რომლებიც ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად — განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში;

ქალებს

— თუ ისინი ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად ან მსჯავრი ედებათ განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (მუხლები 65-74-ე), — მკაცრი რეჟიმის კოლონიაში;

— რომლებსაც მსჯავრი ედებათ თავისუფლების აღკვეთით, — საერთო რეჟიმის კოლონიაში.

სასჯელის მოხდა შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში დაენიშნებათ:

მამრობითი სქესის არასრულწლოვანთ, რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით, არამძიმე დანაშაულისათვის, ან რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით ვადით არა უმეტეს სამი წლისა, მძიმე დანაშაულისათვის, აგრეთვე მდედრობითი სქესის არასრულწლოვანთ, — საერთო რეჟიმის კოლონიაში;

მამრობითი სქესის არასრულწლოვანთ, რომლებიც წინათ იხდიდნენ სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, აგრეთვე იმათ, რომლებსაც მსჯავრი ედებათ თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით, მძიმე დანაშაულისათვის, — გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში.

სასამართლო უფლებამოსილია მსჯავრდებულს, რომელიც ცნობილი არ არის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად, მისი პიროვნების, ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, აგრეთვე საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, თავისუფლების აღკვეთის მოხდა დაუნიშნოს ნებისმიერი სახეობის რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, გარდა განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიისა, ხოლო მამრობითი სქესის არასრულწლოვან მსჯავრდებულს — საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში, ნაცვლად გაძლიერებული რეჟიმის კოლონიისა.

თავისუფლების აღკვეთა საპყრობილეში მოთავსებით, სასჯელის მთელი ან ნაწილობრივი ვადით, შეიძლება დაენიშნოთ:

განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს;

№ 2 ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ პირთ, რომლებმაც თვრამეტი წლის ასაკის შესრულების შემდეგ ჩაიდინეს განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული (მუხლები 65-74-ე);

იმ პირთ, რომლებმაც თვრამეტი წლის ასაკის შესრულების შემდეგ ჩაიდინეს სხვა მძიმე დანაშაული, რისთვისაც მსჯავრდებული არიან თავისუფლების აღკვეთით ხუთ წელზე მეტი ვადით.

მსჯავრდებულისათვის დანიშნული შრომა-გასწორების დაწესებულების სახეობის შეცვლას აწარმოებს სასამართლო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლითა და წესით".

3. კოდექსიდან ამოღებულ იქნეს მუხლი 25[1].

4. 34-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქონების კონფისკაცია შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ სახელმწიფო და ანგარებით დანაშაულისათვის, იმ შემთხვევებში, რომლებიც მითითებულია კანონით".

5. ეს ბრძანებულება ძალაში შედის 1972 წლის 1 სექტემბრიდან და მას უკუქცევითი ძალა არა აქვს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 9 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

163 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთ ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის გათვალისწინებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნარკოტიკულ ნივთიერებათა საგანგებო ნებართვის გარეშე დამზადება, შენახვა ან შეძენა გასაღების მიზნით, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღება, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ნარკოტიკულ ნივთიერებათა კონფისკაციით".

„ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შენახვა ან შეძენა გასაღების მიზნით, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღება, ჩადენილი დიდი ოდენობით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო ასეთივე დანაშაულისათვის, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით“.

2. მე-12 მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „ნარკოტიკული ნივთიერების დამზადების ან გასაღებისათვის (252-ე მუხლის პირველი ნაწილი)“ შეიცვალოს სიტყვებით „გასაღების მიზნით ნარკოტიკულ ნივთიერებათა დამზადების, შეძენის ან შენახვის, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღებისათვის (252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები)“.

3. 44-ე მუხლის მე-2 პუნქტს სიტყვების „(240-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „გასაღების მიზნით“.

4. 54[1] მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3) რომელიც მსჯავრდებულია განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (მუხლები 65-ე-74-ე), ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78-ე), მოქმედებისათვის, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მუშაობაში (მუხლი 78[1]), ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადებისა ან გასაღებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (88-ე მუხლის მეორე ნაწილი), სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (89-ე მუხლის მეორე ნაწილი), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით (მუხლი 96[1]), ყაჩაღობისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით დამამძიმებელ გარემოებებში (96-ე და 152-ე მუხლების მეორე ნაწილები), განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 104-ე და 258-ე მუხლის „გ“ პუნქტი), გაუპატიურებისათვის, რომელიც ჩადენილია ჯგუფის მიერ ან რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის (117-ე მუხლის მესამე ნაწილი), ქრთამის აღების, ქრთამის მიცემის ან მექრთამეობაში შუამავლობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (189, 189[1] და 190-ე მუხლების მეორე ნაწილები), საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 209[1]), ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის მოწყობისათვის (230-ე მუხლის პირველი ნაწილი), განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის (228-ე მუხლის მესამე ნაწილი), ყაჩაღური თავდასხმით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის (240-ე მუხლის მესამე ნაწილი), გასაღების მიზნით ჩადენილ ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცების, დამზადების, შეძენის ან შენახვისათვის, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღებისათვის (252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, მუხლი 252[1])“.

5. 55-ე მუხლის მეექვსე ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2) რომლებიც მსჯავრდებული არიან თვრამეტი წლის ასაკამდე ჩადენილი დანაშაულისათვის: ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78-ე), ყაჩაღობისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით დამამძიმებელ გარემოებებში (96-ე და 152-ე მუხლების მეორე ნაწილები), განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი

104-ე), გაუპატიურებისათვის, რომელიც ჩადენილია ჯგუფის მიერ ან რომელსაც მძიმე შედეგი მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის (117-ე მუხლის მესამე ნაწილი), საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 209[1]), განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის (228-ე მუხლის მესამე ნაწილი), ნარკოტიკების მოხმარების ბუნაგის მოწყობისათვის (230-ე მუხლის პირველი ნაწილი), ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების ან ფეთქებადი ნივთიერების გატაცებისათვის ყაჩაღური თავდასხმის გზით (240-ე მუხლის მესამე ნაწილი), გასაღების მიზნით ჩადენილ ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცების, დამზადების, შეძენის ან შენახვისათვის, აგრეთვე ასეთ ნივთიერებათა გასაღებისათვის (252-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები, მუხლი 252[1]).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი, 1972 წლის 9 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

164 „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-15 მუხლის შევსების თაობაზე

„ნადირობის წესების დარღვევისათვის დაჯარიმების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 25 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ., № 11, მუხ. 159 და № 34, მუხ. 541; 1964 წ. № 4, მუხ. 80; 1966 წ. № 8, მუხ. 132; 1967 წ. № 6, მუხ. 350; 1968 წ. № 1, მუხ. 4 და № 2, მუხ. 14; 1969 წ. № 10, მუხ. 182; 1970 წ. № 5, მუხ. 73) მე-15 მუხლის მეცამეტე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წყლის რესურსების დაცვის, თევზის დაცვის, სატყეო მეურნეობის ორგანოებს, ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ზედამხედველობას ნადირობის წესების დაცვისადმი, შესაბამისად, წყლის რესურსების დაცვისა და სარგებლობის წესების დარღვევისათვის, ნადირობის და თევზის ჭერის წესების დარღვევისათვის, ტყეებში სახანძრო უშიშროების წესების დარღვევისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი, 1972 წლის 9 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

165 საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-აღმზრდელობით კოლონიათა საზოგადოებრიობის საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 123-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-აღმზრდელობით კოლონიათა საზოგადოებრიობის საბჭოების დებულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე.

თბილისი, 1972 წლის 9 აგვისტო.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-აღმზრდელობით კოლონიათა საზოგადოებრიობის საბჭოებისა

მუხლი 1. მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, შრომა-აღმზრდელობითი კოლონიების საქმიანობის გაუმჯობესებისა და საშეფო მუშაობის ორგანიზაციის მიზნით ყოველ შრომა-აღმზრდელობით კოლონიასთან იქმნება საზოგადოებრიობის საბჭოები, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსისა და ამ დებულების საფუძველზე.

მუხლი 2. საზოგადოებრიობის საბჭოს შემადგენლობას, შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის ადმინისტრაციის წარდგენით, ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი კოლონიის ადგილსამყოფელის მიხედვით, თავისი რწმუნების ვადით.

მუხლი 3. საზოგადოებრიობის საბჭოებს ქმნიან 7-9 წევრის შემადგენლობით დეპუტატებისაგან, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კოლექტივების წარმომადგენლებისაგან, საზოგადოებრიობის საბჭოს შემადგენლობაში წევრის უფლებით შედის შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის უფროსი.

საზოგადოებრიობის საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება იყვნენ შინაგან საქმეთა, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაკები, აგრეთვე ადვოკატები.

მუხლი 4. საზოგადოებრიობის საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს (შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატს), თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს. საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედიან შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის სასწავლო-აღმზრდელობითი საბჭოს შემადგენლობაში გადამწყვეტი ხმის უფლებით.

მუხლი 5. საზოგადოებრიობის საბჭოები მთელი თავიანთი საქმიანობით პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე.

მუხლი 6. საზოგადოებრიობის საბჭოების მუშაობისადმი საერთო და მეთოდურ ხელძღვანელობას ახორციელებენ და მათ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

მუხლი 7. საზოგადოებრიობის საბჭოს მთავარი ამოცანაა მოაწყოს სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშეფო მუშაობა კოლონიის ადმინისტრაციისათვის დახმარების აღმოსაჩენად არასრულწლოვან მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახლა აღზრდის საქმეში.

მუხლი 8. საზოგადოებრიობის საბჭო:

ა) კოორდინაციას უწევს და წარმართავს კოლონიათა შეფობის საქმიანობას;

ბ) ეხმარება კოლონიის ადმინისტრაციას ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სწავლების ორგანიზაციის, მსჯავრდებულთა შრომითი აღზრდის და კოლონიის საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესებასა და კოლონიის მატერიალური ბაზის განმტკიცებაში;

გ) ხელს უწყობს მსჯავრდებულთა იდეურ-პოლიტიკურ, სამართლებრივ, სამხედრო-პატრიოტულ, ესთეტიკურ, ფიზიკურ და ზნეობრივ აღზრდას; კოლონიის ადმინისტრაციას ეხმარება შრომის მოწინავეებთან, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებთან, სამხედრო მოსამსახურეებთან აღსაზრდელთა შეხვედრების მოწყობაში, აგრეთვე ლექციების, კონცერტების, საუბრების, სპორტული შეჯიბრებებისა და სხვა ღონისძიებათა ჩატარებაში;

დ) ეხმარება კოლონიის ადმინისტრაციას შექმნას აღსაზრდელთა მორალურად ჯანმრთელი კოლექტივი, ამამღლოს მისი თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობის დონე, გაშალოს შეჯიბრება მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა შორის მაღალნაყოფიერი შრომისა და სანიმუშო ყოფაქცევის კოლექტივის, პროფესიის მიხედვით საუკეთესო მუშის და საუკეთესო მოსწავლის წოდებებისათვის;

ე) ეხმარება კოლონიის ადმინისტრაციას უზრუნველყოს მსჯავრდებულნი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებით და სამედიცინო მომსახურებით დადგენილი ნორმატივებისა და წესების შესაბამისად;

ვ) ამყარებს კავშირს აღსაზრდელთა მშობლებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მშობლების სამუშაო ადგილის მიხედვით, აგრეთვე იმ დაწესებულებებთან და საწარმოებთან, სადაც სწავლობდნენ ან მუშაობდნენ არასრულწლოვანი მსჯავრდებულნი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) დახმარებას უწევს შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან განთავისუფლებულთა შრომითს მოწყობასა და სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში; ამ მიზნით კავშირს ამყარებს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან, შინაგან საქმეთა ორგანოებთან, კომკავშირის კომიტეტებთან და მშობლებთან.

მუხლი 9. საზოგადოებრიობის საბჭოს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს აღმზრდელობითი პროცესისა და სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციას შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში და წინადადებები მუშაობის გაუმჯობესების შესახებ წარუდგინოს კოლონიის უფროსს, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას, აგრეთვე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს;

ბ) მონაწილეობა მიიღოს კოლონიის საზოგადოებრივი დათვალიერების მომზადებასა და ჩატარებაში;

გ) მოიწვიოს საზოგადოებრივ საწყისებზე აღმზრდელებად, ინსტრუქტორებად, სხვადასხვა წრეებისა და სპორტული სექციების ხელმძღვანელებად იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც შეფობას უწევენ კოლონიას;

დ) მოისმინოს თავის სხდომებზე საშეფო მუშაობის ჩატარების შესახებ იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინფორმაცია, რომლებიც შეფობას უწევენ კოლონიას.

მუხლი 10. საზოგადოებრიობის საბჭოს წევრებს შორის მოვალეობანი განაწილდება აღმზრდელობითი პროცესის (მოზარდთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სწავლება, შრომითი აღზრდა და ჯანმრთელობის დაცვა, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა) და კოლონიის სამეურნეო საქმიანობის ძირითად მიმართულებათა გათვალისწინებით.

მუხლი 11. საზოგადოებრიობის საბჭო მუშაობს კოლონიის ადმინისტრაციასთან და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიასთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით.

საზოგადოებრიობის საბჭოს სხდომები ტარდება ყოველთვიურად და უფლებამოსილია თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარი მაინც. საბჭოს გადაწყვეტილებათა მიღება ხდება დამსწრეთა ხმის უმრავლესობით და მას ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 12. საზოგადოებრიობის საბჭოს სხდომაზე, განსახილველი საკითხების ხასიათის მიხედვით, მოიწვევენ შრომა-აღმზრდელობითი კოლონიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებიც შეფობას უწევენ კოლონიას.

საბჭოს სხდომაზე, როცა აუცილებელია, შეიძლება მოწვეულ იქნეს მსჯავრდებული.

მუხლი 13. საზოგადოებრიობის საბჭო სისტემატურად აწვდის ინფორმაციას თავისი მუშაობის შესახებ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 14. საზოგადოებრიობის საბჭოს წევრები თავის მოვალეობას ასრულებენ საზოგადოებრივ საწყისებზე და, როგორც წესი, ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს.

მუხლი 15. საზოგადოებრიობის საბჭოების მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება ეკისრება შრომა-აღმზრდელობითი კოლონიების ადმინისტრაციას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

166 სსრ კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად ჭ. ჭიათურისა და ხაშურის რაიონის ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა მშრომელთა დეპუტატების ჭიათურის საქალაქო და ხაშურის რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა ამხ. ამხ. უ. სხირტლაძის და ჭ. გუჯეჯიანის მოხსენებები აღნიშნავს, რომ ქალაქ ჭიათურისა და ხაშურის რაიონში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს სერიოზული მუშაობა აქვთ გაწეული სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და მშენებლობებზე, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტებზე ფართოდ გაიშალა საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება, რომლის ორგანიზაციაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი საბჭოები, დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

ქალაქ ჭიათურის მშრომელებმა ვალდებულება აიღეს 1972 წლის სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულონ 27 დეკემბრისათვის, ხოლო ხაშურის რაიონის მშრომელებმა — 25 დეკემბრისათვის.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადიდების დარგში ჭიათურელმა მშრომელებმა ივალდებულეს ვენახის თითოეულ ჰექტარიდან მიიღონ 31 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმიური 23 ცენტნერისა, ხილის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა გაზარდონ 19 ცენტნერამდე, ნაცვლად 17 ცენტნერისა. მარცვლეულის წარმოებას გაადიდებენ 3920 ტონამდე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3870 ტონისა, ხორცისა — 280 ტონამდე, ნაცვლად 264 ტონისა.

ხაშურის რაიონის მშრომელებმა სოფლის მეურნეობის დარგში ვალდებულება აიღეს მარცვლეულის მოსავალი ჰექტარზე გაზარდონ 13-დან 15 ცენტნერამდე, სახელმწიფოს მიყიდონ ყურძენი 5.000 ტონა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4800 ტონისა, ხილი — 1180 ტონა, ნაცვლად 1.131 ტონისა, შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა ჰექტარზე გაზარდონ 280-დან-300 ცენტნერამდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორცის წარმოება — 750 ტონიდან 760 ტონამდე, ხოლო რძის წარმოება — 2.900 ტონიდან 3000 ტონამდე.

ადგილობრივი საბჭოების ნაყოფიერმა მუშაობამ, სახალხო მეურნეობის დარგებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებამ განაპირობა მიმდინარე წლის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების 6 თვის გეგმების წარმატებით შესრულება.

ქალაქ ჭიათურის მრეწველობამ პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის დავალება 103,9 პროცენტით შეასრულა, გეგმის ზევით გამოშვებულია მილიონ 185 ათასი მანეთის, ხოლო რეალიზებულია მილიონ 50 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქცია. ასევე გადაჭარბებით შეასრულა 6 თვის გეგმა ხაშურის რაიონის მრეწველობამ: **გამოშვებულია** 12 მილიონ 146 ათასი მანეთის პროდუქცია, **ნაცვლად 11 მილიონ 570 ათასი** მანეთისა.

როგორც ქალაქ ჭიათურაში, ისე ხაშურის რაიონში დიდი გადაჭარბებით იქნა შესრულებული ხორცისა და რძის წარმოების, პირუტყვის სულადობის ნახევარი წლის ვალდებულებანი და სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები. წარმატებით სრულდება გზებისა და დასახლებული ადგილების კეთილმოწყობისათვის აღებული ვალდებულებანი, გაუმჯობესდა მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება, გაფართოვდა მათი ქსელი, მეტი ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეს.

დიდი მუშაობაა გაწეული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ყველა საკლუბო დაწესებულებასა და ბიბლიოთეკაში მოწყობილია სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენები. გამოდის სპეციალური კედლის გაზეთები, ეწყობა საუბრები, ლექცია-მოხსენებები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები რევოლუციური ბრძოლების და დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან, სამამულო ომისა და სოციალისტური შრომის გმირებთან.

ქალაქ ჭიათურისა და ხაშურის რაიონის გაზეთები, ადგილობრივი რადიოგადაცემები ფართოდ აშუქებენ საიუბილეო მზადების მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ამასთან ერთად სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების საქმეში ჭიათურის საქალაქო და ხაშურის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ჯერ კიდევ გააჩნიათ ნაკლოვანებანი.

ქალაქ ჭიათურისა და ხაშურის რაიონის რიგი საწარმო, მეურნეობა და ორგანიზაცია ვერ ასრულებს საიუბილეოდ ნაკისრ ვალდებულებას.

ჯერ კიდევ დაბალია ზოგიერთი სასოფლო საბჭოს ორგანიზაციული მუშაობის დონე. ისინი სათანადო გავლენას ვერ ახდენენ სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის გეგმების შესრულებაზე. ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებათა შესრულებისა და არსებული რეზერვების გამოყენების საქმეს.

ქ. ჭიათურის ხვაშითის, ქვაციხის, კაცხის, წირქვალის და პერევისის სასოფლო საბჭოებმა ვერ შეასრულეს მიმდინარე წლის 6 თვის ხორცისა და მატყლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. ხაშურის რაიონში არ შესრულდა ბორაცისა და კვერცხის წარმოების გეგმები.

1972 წლის პირველი ნახევრის დავალებები და აღებული ვალდებულება ვერ შეასრულეს გაერთიანება „საქსილიკატის“ ჭითურის ფილიალმა და საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭომ, ასევე ვერ ასრულებს მშენებლობის გეგმას ხაშურის რაიონის № 3 სამშენებლო სამმართველო.

სამშენებლო ორგანიზაციების მიერ გეგმების შესრულების მიუხედავად, ქ. ჭითურაში დაწესებულ ვადებში საექსპლოატაციოდ არ იყო გადაცემული რიგი ობიექტები, მათ შორის: მარგანეცის ტრესტის ავტოსატრაქტორო ბაზა, მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის პირუტყვის მექანიზებული ფერმა. კოლმეურნეობებმა ვერ შეასრულეს საგზაო სამუშაოების ნახევარი წლის გეგმა.

1972 წლის პირველი ნახევრის გეგმა და აღებული ვალდებულება ასევე ვერ შეასრულეს ხაშურის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ, კურორტვაჭრობის განყოფილებამ და ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების თბილისის განყოფილების ხაშურის ქსელმა.

რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას, რის შედეგადაც ადგილი აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენის არა ერთ შემთხვევას.

ჭითურის საქალაქო და ხაშურის რაიონული საბჭოების აღმასკომები არარეგულარულად იხილავენ ქვემდგომი საბჭოებისა და ცალკეული ორგანიზაციების მიერ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხებს, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სოფლებში გზების კეთილმოწყობის, გამწვანების და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ჭითურის საქალაქო და ხაშურის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს თავიანთ საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით — „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ და უზრუნველყონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, რისთვისაც:

ა) შეისწავლონ მათ ტერიტორიაზე განლაგებული თითოეული სამრეწველო, სამშენებლო საწარმოს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის საწარმოო საქმიანობა და მეტი დახმარება გაუწიონ მათ გამოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის;

ბ) მიაღწიონ სოფლის მეურნეობასა და ადგილობრივ მრეწველობაში არსებული რეზერვების სრულყოფილად გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და შრომის დისციპლინის განმტკიცებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიიღონ ზომები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებისათვის; ადგილობრივი გაზეთებისა და რადიოს საშუალებით ფართო ინფორმაცია მიაწოდონ მოსახლეობას სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების საკითხებზე;

დ) მეტი ყურადღება მიაქციონ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას. ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, დეპუტატების, მუდმივი კომისიების, აქტივის ფართო მონაწილეობით, კონკრეტული ღონისძიებანი განახორციელონ ხულიგნობის, ლოთობის, მეძრთამეობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი ქმედობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს პერიოდულად განიხილონ საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და დასაბონ ღონისძიებანი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განუხრელად შესრულებისათვის; ამ საქმეში ფართოდ ჩაებან საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 9 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

167 ამბროლაურის რაიონის ცახის სასოფლო საბჭოდან სოფელ თხმორის გამოყოფისა და ნამანევის სასოფლო საბჭოსათვის მისი მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გამოეყოს ამბროლაურის რაიონის ცახის სასოფლო საბჭოს სოფელი თხმორი და მიეკუთვნოს იგი ამავე რაიონის ნამანევის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 9 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

168 ყაზბეგის რაიონის თრუსოს სასოფლო საბჭოს გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაუქმდეს ყაზბეგის რაიონის თრუსოს სასოფლო საბჭო და მასში შემავალი სოფლები: აბანო, კეტრისი, რესი, ტეფი, გიმარა, ცოცოლთა, კარათაყაუ, დესი, სუატისი და ბურმასიგი მიეკუთვნოს ამავე რაიონის კობის სასოფლო საბჭოს.

თრუსოს სასოფლო საბჭოს დეპუტატებს შეუნარჩუნდეთ სადეპუტატო რწმუნება კობის სასოფლო საბჭოში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 9 აგვისტო.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

169 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 31 მაისის ბრძანებულების გაუქმების შესახებ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება შ. ა. არიკიანისა და ვ. მ. ცარკოვის-ათვის საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭებას

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაზიარებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წარდგინება და გაუქმდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 31 მაისის ბრძანებულება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება შავარშ არზუმანის ძე **არიკიანისა** და ვლადიმერ მიხეილის ძე **ცარკოვისათვის** საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭებას, იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი მსჯავრდებულნი არიან მძიმე დანაშაულისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 9 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

170 ამხ. მ. ს. გიორგობიანის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. მურმან სერაპიონის ძე **გიორგობიანი** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 15 აგვისტო.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

171 ამხ. გ. რ. ნადირაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემასრულებლად დაშვების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაშვებულ იქნეს ამხ. გრიგოლ რომანოზის ძე **ნადირაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის შემსრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე მის არჩევამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1972 წლის 15 აგვისტო.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

172 ამხ. კ. ე. კეთილაძის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. კონსტანტინე ერემიას ძე **კეთილაძე** საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი 1972 წლის 17 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

173 **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის თაობაზე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპეპაძე.

თბილისი, 1972 წლის 23 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

174 **ამხ. გ. ი. ხუციშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ამხ. გიორგი იოსების ძე **ხუციშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპეპაძე.

თბილისი, 1972 წლის 23 აგვისტო.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

175 **მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ**

ხანძრის დროს მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს მესტიის რაიონული შემნახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი სალაროს ყარაული ალექსანდრე ჩხინტულდისის ძე **მუშკუდიანი** მენდლინს „ხანძარზე მამაცობისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1972 წლის 9 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

176 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის:

1. ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **ბრეგაძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.
2. სოფიო სპირიდონის ასულ **ენუქიძეს** — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.
3. დიმიტრი სერგოს ძე **მგელაძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.
4. გიორგი მიხეილის ძე **პაპალაშვილს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.
5. ნიკოლოზ ივანეს ძე **სხირტლაძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.
6. არჩილ იაკობის ძე **ფანცხავას** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.
7. ელიზბარ სიმონის ძე **წითლანაძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის:

1. შიო გერმანეს ძე **ნაფეტარიძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს, პროფესორს.
2. გრიგოლ ნარიმანის ძე **ტერ-გაზარიანს** — ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, პროფესორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1972 წლის 11 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

177 ვოკალურ ანსამბლ „ბორდელას“ მსახიობთათვის საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის სპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ვოკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის სპატიო წოდება:**

1. თამაზ ვლადიმერის ძე **ანდღულაძეს.**
2. ალბერტ ვლადიმერის ძე **დანელიანს.**
3. ბადრი ამირანის ძე **თოიძეს.**
4. მიხეილ გიორგის ძე **მცურავიშვილს.**
5. თამაზ კონსტანტინეს ძე **პავლოვს.**
6. გომარ გიორგის ძე **სიხარულიძეს.**
7. თემურ ვასილის ძე **ქევხიშვილს.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე.**

თბილისი, 1972 წლის 14 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

178 ამხ. პ. ი. ჯაჯვანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიულ და საბჭოთა მუშაკების გადასამზადებელი მუდმივმოქმედი კურსების დირექტორი ამხ. პორფილე ივანეს ძე **ჯაჯვანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე.**

თბილისი, 1972 წლის 11 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

179 ამხ. ა. ხ. ადამიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის უფროსი კონსულტანტი ამხ. ალექსანდრე სულეიმანის ძე **ადამიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

180 ამხ. ვ. პ. ბოკერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის უფროსი კონსულტანტი ამხ. ვახტანგ პლატონის ძე **ბოკერია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

181 ამხ. ი. დ. თურქიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო მეურნეობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ისიდორე დავითის ძე **თურქია** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

182 ამხ. ი. ს. მიქელაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო მეურნეობის დაგეგმვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ირაკლი სოლომონის ძე **მიქელაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

183 ამხ. ა. გ. გალავანოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი ამხ. ალექსანდრე გიორგის ძე **გალავანოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი, 1972 წლის 29 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

184 ამხ. ვ. ი. კობახიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. ვლადიმერ ილიას ძე **კობახიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი, 1972 წლის 29 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

185 ამხ. ბ. ი. ჭარჩავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მთავარი ბუღალტერი ამხ. ბესარიონ იაკობის ძე **ჭარჩავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 29 აგვისტო.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

186 ამხ. დ. ი. ცქიტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამმართველოს მთავარი აგრონომი ამხ. დავით ირაკლის ძე **ცქიტიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 29 აგვისტო.

განკოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს გრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 9 აგვისტოს გრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლით“** დაჯილდოვა 399 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	46
ქ. ჭიათურიდან	17
ქ. ქუთაისიდან	4

№ 8
ეროვნული ბიბლიოთეკა

ასპინძის	რაიონიდან	4
ბოგდანოვკის	„	15
ბოლნისის	„	20
გეგეჭკორის	„	12
გურჯაანის	„	1
დმანისის	„	129
დუშეთის	„	7
ზუგდიდის	„	10
თიანეთის	„	5
ლაგოდეხის	„	15
მაიაკოვსკის	„	4
მარნეულის	„	32
მესტიის	„	21
მცხეთის	„	10
სამტრედიის	„	7
საჩხერის	„	8
ქარელის	„	6
წულუკიძის	„	3
ჩხოროწყუს	„	11
სამხრეთ ოსეთის ა/ო	. . . . .	12